ადიგენის კოლმეურნე

საქართველოს კპ ადიგენის რაიკომისა და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

АДИГЕНИС КОЛМЕУРНЕ орган Адигенского райкома КП Грузии и райсовета депутатов трудящихся

№28-29 (1438-34) | ხუთშაბათი, 29 მარტი, 1956 წ. | ფასი 10 კაპ.

მეცხოველეობის აღმავლობისათვის

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც ლენინური პრინციპების მტკიცედ დამცველია და თავის საქმიანობაში უტყუარი ალღოთი ხელმძღვანელობს, თავის დროზე შენიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა მიმდინარე მომენტის მოთხოვნებს ვერ პასუხობდა, რომ განსაკუთრებით ჩამორჩებოდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ლენინური ცენტრალური კომიტეტის სიბრძნის ძრავალთაგან ერთ-ერთი გამოხატულება ის არის, რომ მან დროულად მიიღო გადამჭრელი ზომები ამ ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და მომდევნო პლენუმების შემდეგ დიდი დრო არ გასულა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში სოფლის მეურნეობის ყველა დარგი მტკიცედ წავიდა წინ: გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების, განსაკუთრებით მარცვლეული კულტურების საჰექტარო მოსავლიანობა და აბსოლუტური მოსავალი, ათვისებულ იქნა ყამირი და ნასვენი მიწების დიდი მასივები, მკვეთრად ამაღლდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

სერიოზული ძვრები მოხდა ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობაშიც. ამის ნათელსაყოფად მივმართოთ ფაქტებს. გასულ საბეურნეო წელს 1954 წელთან შედარებით ყველა სახის პირუტყვის სულადობა გაიზარდა 16 პროცენტით, ხოლო თვითეულ საფურაჟე ძროხის წველადობა—176 პროცენტით. წველადობის მხრივ ბევრად უკეთესი მდგომარეობაა მიმდინარე წელს. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე იგი 1 მარტისათვის შეადგენდა 76 კილოგრამ რძეს, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 44 კილოგრამით მეტია. შესაბამისად გაიზარდა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა.

ეს უეჭველად წარმატებაა, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იგი ზღვარია. რაიონის კოლმეურნეობებში მრავალი გამოუყენებული რეზერვია, რომელთა ამოქმედებით მეცხოველეობა ამაღლდება იმ დონემდე, რომელიც ნამდვილად უახლოესი ორი-სამი წლისათვის ჩვენს რაიონში. ფაქტია, რომ ამ დარგის განვითარება ჩვენთან პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს ჯერ კიდევ ვერ პასუხობს.

რა ხელისშემშლელი მიზეზებია, რომ მეცხოველეობის მკვეთრად განვითარებას აბრკოლებს? ცნობილია, რომ მყარი საკვები ბაზის შექმნის გარეშე ეს საქმე წინ ვერ წაიწევს. გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობებში გეგმით უნდა დამზადებულიყო 7 ათასი ტონა სილოსი, 8 ათასი ტონა ნამჯა და 6 ათასი ტონა თივა. სილოსი დამზადდა 6.205 ტონა, ნამჯა— 7.653, ხოლო თივა—2.538 ტონა. მართალია, ამ დავალებათა შესრულებას ხელი შეუშალა ძლიერმა გვალვამ, მაგრამ შრომის ორგანიზაციის უკეთ მოწესრიგებისა და დისციპლინის განმტკიცების შედეგად კოლმეურნეობებს გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლოთ.

საკვები ბაზის სისუსტემ უკვე იჩინა თავი და ახლა უარყოფით გავლენას ახდენს პირუტყვის გამოზამთრებაზე. ზოგიერთ კოლმეურნეობას რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან შემოაქვს უხეში საკვები, რომლის ხარისხი ხშირად დაბალია, რაც ადიდებს მეცხოველეობის პროდუქტების მისაღებად გაწეული შრომის დანახარჯს.

რაიონის კოლმეურნეობების გამგეობათა და პარტიული ორგანიზაციების ღირსების საქმეა უზრუნველყონ დასახელებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის ამაღლების საფუძველზე მიაღწიონ მიმდინარე საბეურნეო წელს საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდებას.

პარტიული აქტივის კრება

29 მარტს პარტიის ადიგენის [illegible] ხდომათა დარბაზში გაიმართა ადიგენის რაიონის პარტიული აქტივის კრება. კრებამ მოისმინა საქართველოს კპ ადიგენის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. ა. ხვედელიანის მოხსენება—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი და ადიგენის რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

—პარტიის XX ყრილობა,—ამბობს მომხსენებელი,—ისტორიული მოვლენაა საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში.

ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი მთელ საბჭოთა ხალხს აიარაღებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამით.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად,—განაგრძობს მომხსენებელი,—ადიგენის რაიონის მშრომელებიც უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებს. XX ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ჩვენი რაიონის მშრომელები ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. დღითიდღე იზრდება მშრომელთა პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა, მასების შემოქმედებითი აქტივობა. რაიონის კომუნისტები, ყველა მშრომელი უდიდესი ინტერესით ეცნობიან და სწავლობენ პარტიის XX ყრილობის მასალებს. მათ ღრმად სწამთ, რომ საჭიროა თავდადებული შრომა, მონოლითური ერთიანობა და დარაზმულობა მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესასრულებლად.

იბრძვიან რა პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა დროულად გააჩაღეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება. არლის კეცხოველის, ბენარის დიმიტროვის სახელობის, ბოლაჯურისა და რიგი სხვა კოლმეურნეობები ყოველმხრივ მომზადებული არიან საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის. მომარაგებული და თესვით კონდიციამდე აყვანილი აქვთ სათესლე მასალა, მზრუნველობით უვლიან გამწვევ ძალას, გარემონტებული აქვთ მანქანა-იარაღები და ინვენტარი.

მაგრამ საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადების საქმეში რაიონის რიგ კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. მლაშის, ლელოვნის, სმადის და ხევაშენის კოლმეურნეობებს აკლიათ კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების თესლები. აფიეთის, ჭეჭლის, წრის, დერცელისა და რიგ სხვა კოლმეურნეობებს დღემდე არ დაუმთავრებიათ მანქანა-იარაღების რემონტი. ზოგან ნელი ტემპით მიმდინარეობს მინდვრად სასუქების გატანა დასუსტებულია გამწვევი ძალა.

საგაზაფხულო თესვისათვის ყოველმხრივ მომზადებული არ არის ადიგენის მანქანა-ტრაქტორთა სადგური. დაუკომპლექტებელია სატრაქტორო ბრიგადები, დაწყებული არ არის კოლმეურნეობებთან ტიპური ხელშეკრულებების დადება, არ შეუდგენიათ საგაზაფხულო სამუშაოების გრაფიკი.

ჩვენს რაიონში მეცხოველეობა მომგებიანი დარგია. მაგრამ მის განვითარებას რიგ კოლმეურნეობებში სათანადო ყურადღება არ ექცევა. მოხის, აფიეთის და დერცელის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის ფერმები დაკომპლექტებული არ არის საჭირო რაოდენობის მუშახელით.

რაიონის კოლმეურნეობებში მოწოდების სიმაღლეზე არ არის დაყენებული შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა. კოლმეურნეთა საგრძნობი ნაწილი გაურბის საკოლმეურნეო შრომას, ვერ იმუშავებს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს, მის მიმართ კი კოლმეურნეობათა გამგეობები ქმედით ღონისძიებებს არ ატარებენ.

შეეხო რა პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს, მომხსენებელმა თქვა, რომ რაიონის მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები ქმედითად არ ეხმარებიან კოლმეურნეობათა გამგეობებს და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს მიცემულ დავალებათა განაღდებისათვის ბრძოლაში. ზოგან არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა, არ იგრძნობა კომუნისტების ავანგარდული როლი.

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღო 9 კაცმა.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში პარტიული აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი და რწმენა გამოთქვა, რომ ადიგენის რაიონის პარტიული ორგანიზაცია კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, აქტიურად დარაზმავს რაიონის მშრომელებს ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის საბრძოლველად.

სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა

უდე. (ჩვენი კორ.). უდის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო 300 ტონის ტევადობის სასილოსე ტრანშეების მშენებლობა. მიწის ამოღება მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების გაჩაღებამდე უნდა დამთავრდეს.

უდელ კოლმეურნეებს განზრახული აქვთ წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 5-6 ტონა სილოსი დაამზადონ.

აგასთუმნის საავეჯო ფაბრიკის დამამზადებელ საამქროში. (ფოტო შ. პერანიძისა).

ხვნა-თესვას მომზადებული ხვდებიან

არლის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა დროულად გააჩაღეს და შემჭიდროებულ ვადებში დაამთავრეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება. აქ საკმაო რაოდენობით მოიმარაგეს და სრულ კონდიციამდე აიყვანეს ხორბლის, ქერის, სიმინდის, კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების სათესლე მასალა. გარემონტებული და თესვისათვის მზადყოფნაშია 15 გუთანი, 45 კავი, 10 ზიგზაგი, 18 უღელი, 11 ურემი და სხვა ინვენტარი. გამწევი ძალა გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე, შეძენილია თესლის შესაწმალი შხამ-მასალები, შედგენილია წლიური საწარმოო გეგმა, დაკომპლექტებულია ბრიგადები და რგოლები, შეზიდულია 50 ტონა მინერალური სასუქი, მინდვრად გაზიდულია 2.200 ტონაზე მეტი ნაკელი.

უღრან ტაიგაში

სოჭეკარი, (საკუთ.). არაჩვეულებრივი გამოცოცხლებაა ამ დღეებში სოჭეკარის მთებში. მშენებლებს ურალ ტაიგაში გაჰყავთ მაგისტრალი მიკუნისთან.

ამასთან ერთად ოკინგზა შესაძლებელს გახდის ტყის მდიდარი მასივების ექსპლოატაციას. აქ მერქნის საერთო მარაგი აღწევს 175 მილიონ კუბურ მეტრს. ოკინგზის 1 კილომეტრი სიგრძის მაგისტრალის გაყოლებით აშენდება რამდენიმე ათეული საწარმოებელი და საცხოვრებელი სამეურნეო მეურნეობა და ხისდამამუშავებელი კომბინატი.

ქრონიკა

ამერიკა-კანადის საზღვარზე, სენტ-ლორენსის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. ლეონიდე ბრეჟნევი საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ამჟამინდელ ელჩ ტარასოვის ნაცვლად.

მთელი ძალები მოვახმაროთ საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობას

„ერთ-ერთი უველაზე ძნელი და ამავე დროს უველაზე გადაუდებელი ამოცანა, რომელიც პარტიის წინაშე დაისახა ამ უკანასკნელ ხანს, არის მეცხოველეობის შემდგომი განვითარების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გაღიდების ამოცანა. საბჭოთა

☆ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲓᲘᲓ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲮᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲖᲐᲪᲘᲣᲚ ᲚᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲘᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲣᲚᲝᲑᲐ“.

(პარტიის XX ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხაანგარიშო მოხსენებიდან).

მუშაობა—ახალი ამოცანების დონეზე

სკკპ XX ყრილობამ უდიდესი ამოცანები დასახა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის უველა დარგის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მჭიდროდ დაირაზმა ჩვენი რაიონის მშრომელთა კოლექტივიც. ახალი ძალით გაჩაღდა მუშაობა საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის უოველმხრივ მოსამზადებლად, პირუტყვის ნამატის შენარჩუნებისა და პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

რაიონის ეკონომიკაში მეცხოველეობას დიდი ხვედრითი წონა აქვს. ამიტომ კოლმეურნეობებძა ამ დარგის მკვეთრად განვითარებას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება.

გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობებმა მეცხოველეობაში ერთგვარ წარმატებას მიაღწიეს. პირუტყვის მთელ რიგ სახეებში გადაჭარბებით შესრულდა სულადობის გეგმები, თვალსაჩინოდ გაიზარდა პროდუქტიულობა. 1954 წელთან შედარებით თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულ იქნა 275 კილოგრამით მეტი რძე. ამ მხრივ კარგი შედეგები ჰქონდათ ფლატის ძერჟინსკის, ვარხნის ვოროშილოვის, ჭეჭლის მარქსის, ფხეროს კუიბიშევის, ლეღვნის სტალინის სახელობის, აფიეთისა და ბოლაჯურის კოლმეურნეობებს.

პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდებისათვის საჭიროა მთელ რიგ გადაუდებელ ღონისძიებათა გატარება. უპირველეს ყოვლისა უნდა გაძლიერდეს ბრძოლა დაცემის წინააღმდეგ. ამ მხრივ მუშაობა კი მოისუსტებს. 1955 წლის 1 ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 1 მარტამდე კოლმეურნეობებში 166 მსხვილფეხა პირუტყვი დაეცა. პირუტყვი განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა დაცემული ჭეჭლის მარქსის, უდის რუსთაველის სახელობის, მოხისა და აფიეთის კოლმეურნეობებში. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ არტელებში პირუტყვის ზოოვეტმომსახურება დაბალ დონეზეა დაყენებული.

ბერწიანობა ერთ-ერთი ძირითადი დაბრკოლებაა პირუტყვის სულადობის გადიდების საქმეში. გასულ სამეურნეო წელს არსებული პროდუქტიული პირუტყვის 35-40 პროცენტი ბერწი აღმოჩნდა. გაითვალისწინეს რა ეს, რაიონის კოლმეურნეობებმა მიმდინარე წელს საგრძნობლად შეამცირეს ბერწიანობა. ახლა იგი 15 პროცენტამდეა დაყვანილი. ამ ციფრის მინიმუმამდე შემცირება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. ამ მხრივ გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ზოოვეტპერსონალს, რომელმაც ფართოდ უნდა დანერგოს პირუტყვის ხელოვნური დაგრილების პრაქტიკა.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში (ადიგენი და სხვ.) ადგილი აქვს ნამატის დაცემას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ჯერ კიდევ ვერ შევძელით აგვეძაღლებინა მომვლელთა პასუხისმგებლობა და დაინტერესება, გაგვეძლიერებინა ეპიზოდურ დავალებათა ლიკვიდაციისათვის ბრძოლა.

მიუხედავად ერთგვარი სიძნელეებისა (საკვების სიმცირე), მიმდინარე წლის 1 მარტისათვის გასული წლის ამავე დროსთან შედარებით წველადობა 234 პროცენტით გაიზარდა. განსაკუთრებით კარგ შედეგებს მიაღწიეს სამყურის მოლოტოვის, არლის კეცხოველის, აბასთუმნის წულუკიძის, ვარხნის ვოროშილოვისა და ბენარის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობებმა. თვითეულ მათგანს ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებული აქვს 102-126 კილოგრამი რძე. სამწუხაროდ, უველგან ასე როდია. წველადობის მხრივ სერიოზულად ჩამორჩნენ ადიგენის ლენინის, სმადის ვიშინსკის, ჭეჭლის მარქსის, ფხეროს კუიბიშევის, ხევაშენის მალენკოვის სახელობის, წრის, მოხისა და დერცელის კოლმეურნეობები. თუ მათ ახლავე არ მიიღეს გადამჭრელი ზომები პროდუქტიულობის ასამაღლებლად, სამეურნეო წელს გარღვევით დაამთავრებენ.

მეცხოველეობის განვითარება მტკიცე საკვები ბაზის გარეშე წარმოუდგენელია. ახლა ამ სიძნელეებსაც განვიცდით პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის გაზრდისათვის ბრძოლაში, იმისაგან არის გამოწვეული, რომ გასულ წელს მთელმა რიგმა არტელებმა ვერ შეასრულეს და მას სხვა რაიონებიდან ეზიდებიან. მათი გამგეობებისათვის ეს გაკვეთილი უნდა იყოს.

საჭიროა წელს მნიშვნელოვნად გადიდდეს ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების, სილოსე კულტურების, საკვები ძირხვენების ნათესები, გაჯობესდეს სათიბებისა და საძოვრების მოვლა-შენახვა. განსაკუთრებული უნდა იქნას ყურადღება ღონისძიება, რათა საჭირო რაოდენობით დამზადდეს წესიანი, უხეში და კონცენტრირებული საკვები.

როგორც ცნობილია, ცხოველებში უველაზე მაღალფასეულია დუქტიული ღორია. ამჟამად ტებაა და უნდა აღვნიშნოთ, რომ მეღორეობა ჩვენთან თანადო პატივისცემით არ სარგებლობს. ამის შედეგია, ხორცის საერთო წარმოებაში ღორის ხორცის წილი 10 პროცენტსაც ვერ აღწევს. დროკოლძეურნეობებმა მეტი დატერესება გამოიჩინონ ამ სამით და ჯიშობრივი შემადგენლობის, კვების გაუმჯობესებისა და ნამატის სრულად შენარჩუნების საფუძველზე მიიწონ მეღორეობის უოველმხრივ განვითარებას, ხორცის საერთო წარმოებაში ღორის ხორცის ხვედრითი წონის მკვეთრ გადიდებას.

უოველი სამეურნეო საქმიანობის წარმატების გადამწყვეტი ფაქტორი ადამიანებია. მშრომელთა კოლექტივია. რაიონში მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანის წარმატებით გადაჭრა მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაირაზმება ეს კოლექტივი მშობლიური პარტიის ისტორიულ მითითებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად. მშრომელთა დარაზმვა, მათი შრომითი ენთუზიაზმის აზვირთება კი მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის—ამ დიადი და კეთილშობილური მიზნის მისაღწევად შრომის ორგანიზაციის უველ მოწყობის, მოწინავეთა გამოდილების ფართოდ გავრცელების საფუძველზე, რაიონის პარტიული, საბჭოთა, კოოპერაციული და საძეურნეო ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა.

ა. მაჩაიძე.

პარტიის ადიგენის რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში.

ს. ფირცხალავა.

ს. ფირცხალავა,

ბენარის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

გავითვალისწინეთ რა გასული წლის ნაკლოვანებანი, წელს გაცილებით უკეთ მოვაწყეთ საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის აღმავლობისათვის ბრძოლა. მეცხოველეობის ფერმები დროულად დავაკომპლექტეთ საქმის მცოდნე და ენერგიული მუშაკებით, მაღალხარისხოვნად გავარემონტეთ პირუტყვის სადგომები, საკმაო რაოდენობით მოვიმარაგეთ საკვები.

მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შედეგად მინიმუმამდე დავიყვანეთ პირუტყვის დაცემის შემთხვევები. გასულ წელთან შედარებით მკვეთრად მატულობს პროდუქტიულობა. თუ 1955 წლის 1 მარტისათვის თვითეული საფურაჟე ძროხიდან მხოლოდ 53 კილოგრამი რძე იყო მიღებული, მიმდინარე წლის ამავე რიცხვისათვის თვითეული ძროხის მონაწველმა 126 კილოგრამს გადააჭარბა. წველადობის გადიდება იმის შედეგია, რომ უხეშ საკვებთან ერთად ძროხებს საკმაო რაოდენობით ვაძლევთ სილოსსა და კონცენტრირებულ საკვებს.

კარგად მოვლილი და მთლიანად შენარჩუნებული გვყავს ახლადმიღებული ნამატი. იგი სუფთა და ნათელ ბინებშია მოთავსებული, უზრუნველყოფილია საკვებით. ხბორების ხელოვნური წესით კვება პროდუქტიულობის ამაღლების ერთ-ერთი ღონისძიებაა. ამიტომ ეს მეთოდი ჩვენ ფართოდ დავნერგეთ. დაბადებიდანვე უველა ხბო ხელოვნურად იკვებება.

ჩვენს კოლმეურნეობას საქმის მცოდნე და ენერგიული მეცხოველეები ჰყავს. მათ შორის აღსანიშნავი არიან მწკრივლავები ელენე წალდაძე და ვენერა მსხვილიძე, რომლებიც თვალისჩინივით უვლიან მათზე გაპიროვნებულ პირუტყვს.

დროულად გავაჩაღეთ სახელმწიფო ვალდებულებების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლა. ხორცის სავალდებულო ჩაბარების წლიური გეგმა შესრულებული გვაქვს 95 პროცენტით, სახელმწიფო შესყიდვისა—59,2 პროცენტით.

ბენარის კოლმეურნეობის გამგეობა და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია უველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის დავალებანი, ჩვენი წვლილი შევიტანოთ მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში.

რესპუბლიკურ საპატიო წიგნში

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ვ. ქერქაძის 1956 წლის 2 მარტის ბრძანებით საქართველოს სსრ კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობის მოწინავეთა რესპუბლიკურ საპატიო წიგნში შეტანილი არიან:

სოფელ ფლატის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე **პარმენ ივანეს-ძე გოგრიჭიანი**, რომელმაც 1955 წელს თვითეული საფურაჟე ძროხიდან 930 კილოგრამი რძე მიიღო და დავალება 143,1 პროცენტით შეასრულა; ამავე კოლმეურნეობის მოწინავე მწველავები: **ნინურა პეტრეს ასული გოგრიჭიანი**, რომელმაც გასული წლის წველადობის გეგმა შეასრულა 148,2 პროცენტით, **თამარა მაღლაქიას ასული გოგრიჭიანი**, რომელმაც უზრუნველყო პროდუქტიულობის გეგმის 147,8 პროცენტით შესრულება, **სულიკო ეგნატეს ასული ბოხა**შვილი, რომელმაც გეგმა შეასრულა 140,2 პროცენტით, **ელიჩკა ილიას ასული გავაშელი**, რომელმაც გეგმა შეასრულა 140 პროცენტით, **უმილია პარმენის ასული გოგრიჭიანი**, რომელმაც გეგმა შეასრულა 193,2 პროცენტით.

წველადობის 1955 წლის გეგმის 136,2 პროცენტით შესრულებისათვის რესპუბლიკურ საპატიო წიგნში შეტანილია აგრეთვე აფიეთის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ მწველავი **ვარა პეტრეს ასული ბიჭაშვილი.**

სურათზე: არლის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის ჯიშიანი პირუტყვი.

(ფოტო შ. პერანიძისა)

მეცხოველეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას



ბენარის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმა.

(ფოტო შ. პერანიძისა).

„სწორი არ იქნებოდა და ამასთან პირდაპირ დამლუპველი იქნებოდა საქმე ისე წარმოგვედგინა, რომ მეცხოველეობის განვითარებაში ჯელა სიძნელე უკვე გადალახულია. არა, სწორი იქნება კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კიდევ ბევრი დრონისძიება და შრომა, რათა მეცხოველეობა ავიყვანოთ იმ დონეზე, რომელიც შეესაბამება ხალხის ზრდად მოთხოვნილებებს".

(პარტიის XX ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებიდან).

სერიოზული ნაგიჯი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გრანდიოზული ამოცანებია დასახული საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი ძლავრი აღმავლობისათვის. ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში თავიანთი წელილი შეაქვთ ზავის ქედანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს. მათი ენერგიული მუშაობის შედეგად კოლმეურნეობამ 1955 წელს დიდი გადაჭარბებით შეასრულა პირუტყვის სულადობის გეგმები. მსხვილფეხა პირუტყვის სულადობის გეგმა შესრულდა 112 პროცენტით, ცხვრის —127 პროცენტით, ცხენისა —110 პროცენტით. 1954 წელთან შედარებით თვითეულ საფურაჟე ძროხიდან მიღებულ იქნა 285 კილოგრამით მეტი რძე.

საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში კოლმეურნეობის გამგეობას მხარში უდგანან კოლუნისტები. კომუნისტი მწყემსები პ. მღებრიშვილი, ი. ჯიბკარიანი და ვ. აბულაძე დიდ მზრუნველობას იჩენენ პირუტყვისადმი.

პარტიულმა ორგანიზაციამ სათანადო მუშაობა გასწია პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის. გასული წლის სექტემბერში პარტიულ კრებაზე ვიმსჯელეთ პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების შესახებ. ბინების რემონტისა და ფერმების მუშახელით დაკომპლექტებისათვის პარტიულმა ორგანიზაციამ საქმიანი დადგენილება მიიღო. მისი შესრულებისათვის ერთსულოვნად დავირაზმეთ. ოქტომბერში შეუძლებელი მიღებული დადგენილების შესრულება. გამოირკვა, რომ პირუტყვის სადგომების რემონტი დროზე და ხარისხოვნად ჩატარდა. საქმაო რაოდენობით იყო მოპარებული როგორც უხეში, ასე წვნიანი და კონცენტრირებული საკვები.

წინა წლის იანვარში პარტიული კრების მსჯელობის საგნად გავხადეთ პირუტყვის გამოზამთრების მიმდინარეობის საკითხი. კრებაზე გამოირკვა, რომ 5 სული მსხვილფეხა და 8 სული წვრილფეხა პირუტყვი დასუსტებული იყო. ფერმაში მომუშავე კომუნისტებს დაევალათ დასუსტებული პირუტყვისადმი მეტი მზრუნველობა გამოეჩინათ. პარტიული კრების დადგენილების შემდეგ ძდგომარეობა მალე გამოსწორდა.

თებერვალში პარტიულ კრებაზე განვიხილეთ საკითხი წველადობის შესახებ. კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ გასულ წელს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა წველადობის აღრიცხვის საქმეს, რეგულარულად არ ეწყობოდა საკონტროლო წველა. განხილული საკითხის გარშემო დავსახეთ ღონისძიება. კოლმეურნეობის გამგეობას დაევალა, რომ რეგულარულად მოაწყოს საკონტროლო წველა, ზუსტი კონტროლი დააწესოს წველადობის აღრიცხვაზე. კრების ეს დადგენილებაც კარგად სრულდება.

პარტიული ორგანიზაციისა და კოლმეურნეობის გამგეობის ერთობლივი მუშაობის შედეგად ჩვენს კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი მეცხოველეობა აღმავლობის გზით ძიდის. თვითეული საფურაჟე ძროხიდან 20 მარტისათვის მიღებული იყო 141 კილოგრამი რძე. გასული წლის ამავე პერიოდისათვის კი მხოლოდ 34 კილოგრამი იყო მიღებული. მეცხოველეობის მუშაკებისათვის კარგი პირობებია შექმნილი. ისინი უზრუნველყოფილი არიან სპეციალური ტანსაცმლითა და კულტურული მომსახურებით. ფერმაში მოწყობილია წითელი კუთხე და გაყვანილია რადიო. ფერმის მუშაკთათვის რეგულარულად ეწყობა საუბრები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესახებ.

ამრიგად, ჩვენს არტელში მეცხოველეობის აღმავლობისათვის სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა. თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია.

ბ. კირთაძე,

ზანავის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

მთავარია მყარი

გასულ წელს ყველა სახის მიხედვით შევასრულეთ საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გეგმები, თვითეული საფურაჟე ძროხიდან 930 კილოგრამი რძე მივიღეთ და დავალება 143,1 პროცენტით გავანაღდეთ. ასეთი მაჩვენებლები იმით მოვიპოვეთ, რომ კარგად გამოვაზამთრეთ პირუტყვი. რაც მთავარი და გადამწყვეტია, უზრუნველყოფილი ვიყავით საკვებით, მზრუნველობით ვუვლიდით პირუტყვს, ფერმები დაკომპლექტებული გვქონდა ენერგიული და შრომისმოყვარე მუშაკებით.

საზოგადოებრივი პირუტყვისათვის მზრუნველობა წელსაც არ შეგვისუსტებია. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ საკვების არსებულმა მარაგმა ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნილება და დიდი რაოდენობით შევიძინეთ იგი, რასაც ბევრი თანხა და შრომა დასჭირდა. აღნიშნულ ნაკლოვანებას კარგად გავითვალისწინებთ მეცხოველეობის მუშაკები. ყოველმხრივ დავეხმარებით კოლმეურნეობის გამგეობას გავაუმჯობესოთ საბინა-საძოვრები, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ საკვების დამზადების მიმდინარე წლის გეგმები, რადგან კარგად ვიცით, რომ მყარი საკვები ბაზის გარეშე საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ განვითარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

პირუტყვის პროდუქტიულობის გასული წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მე და ჩვენი კოლმეურნეობის 5 მოწინავე მწველავი შეტანილი ვართ საქართველოს სსრ კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობის მოწინავეთა რესპუბლიკურ საპატიო წიგნში. ამ დიდი დაფასების პასუხად კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობას. საგანმუშოდ გამოვაზამთრებთ პირუტყვს, მთლიანად შევინარჩუნებთ ნამატს, ფართოდ დავნერგავთ ნაკვეთმორიგეობისა და სადღეღამისო ძოვების პრაქტიკას, ზუსტ კონტროლს დავაწესებთ წველაზე და უზრუნველვყოფთ თვითეული საფურაჟე ძროხიდან არანაკლები 1.000 კილოგრამი რძის მიღებას.

ა. გოგრიჭიანი,

ფლატის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე.

ᲩᲔᲛᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ

უკანასკნელ წლებში ბოლაჯურის კოლმეურნეობა სერიოზულ წარმატებებს აღწევს საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის აღმავლობის საქმეში. გასულ წელს კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა პირუტყვის სულადობისა და წველადობის სახელმწიფო გეგმები. თვითეული საფურაჟე ძროხიდან მიღებულ იქნა 780 კილოგრამი რძე, გეგმა კი 650 კილოგრამს ითვალისწინებდა. ეს მაჩვენებელი, ცხადია, კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად, მეცხოველეობის მუშაკთა ენერგიულმა შრომამ განაპირობა.

8 წელია, რაც მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში მწველავად ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში საკმაო გამოცდილება შევიძინე. საფუძვლიანად შევისწავლე ზოოტექნიკური წესები და ზუსტად ვიცავ მათ. წველის დროს პირუტყვს მშვიდად და ალერსიანად ვეპყრობი, ვიცავ სიწყნარეს. წველას ყოველთვის ერთსა და იმავე დროს ვაწარმოებ. მუშაობის დაწყების წინ ძროხას ცურს თბილი წყლით ვბან და შემდეგ სუფთა ტილოთი ვუმშრალებ. წველას მუჭით ვაწარმოებ, რადგან ეს მეთოდი უზრუნველყოფს რძის მთლიანად გამოწველას, მის მაქსიმალურ ცხიმიანობას და ცურის უვნებლობას. მოწველისას ცურში რძეს არ ვტოვებ, რადგან პროდუქტიულობის მატებასთან ერთად, უკანასკნელი ჩამონაწველი რძე უფრო სუფთა და ცხიმიანია.

გასულ წელს მოსავლელად გაპიროვნებული მყავდა 13 ძროხა. იმის გამო, რომ ყველა დაგრილებული არ იყო, 11 ხბო მივიღე, რომელთაგან 10 გამოვზარდე და შევინარჩუნე. თვითეული საფურაჟე ძროხიდან 790 კილოგრამი რძე მივიღე, რაც გეგმის 121,5 პროცენტს შეადგენს. წველადობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და ნამატის კარგად შენარჩუნებისათვის პრემიადანამატის სახით 1 სული ცხვარი და 17 კილოგრამი ყველი მივიღე.

მართალია, გასულ წელს გადაჭარბებით შევასრულე პირუტყვის პროდუქტიულობის გეგმა, მაგრამ ჩვენი კოლმეურნეობის შესაძლებლობასთან შედარებით ეს მაჩვენებელი სახარბიელო არ არის. მთელ ჩემს გამოცდილებას, ცოდნასა და ენერგიას მოვახმარ იმას, რომ წელს გაცილებით უკეთესი წარმატება მოვიპოვო ნამატის შენარჩუნებისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის ბრძოლაში.

ო. ჩაბრაძე,

ბოლაჯურის კოლმეურნეობის მწველავი.

ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

გასული წლის დამლევს მლაშის კოლმეურნეობის წევრი ხაჩიკ მომციანი საბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნდა. კოლმეურნეობის გამგეობის რჩევით მან მეცხვარეობის ფერმაში მწყემსად დაიწყო მუშაობა. იგი სერიოზული პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდა დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას. მას კარგად აქვს შეგნებული, რომ მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სერიოზულ ღონისძიებებს ატარებენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობისათვის, მისი სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდებისათვის. აძის შესახებ ბ. ბომციანს რამდენჯერმე მოუსმენია აგიტატორის საუბარი.

საქმის მცოდნე და ენერგიულ მუშაკს ხ. მომციანს, მიუხედავად იმისა, რომ არახელსაყრელ პირობებში უხდება მუშაობა (პირუტყვი მოთავსებულია შეუფერებელ ბინაში, გაწიცდის საკვების სიმცირეს), კარგი მოვლილი ჰყავს ცხვარი და მისი ნამატი. იგი გათენებიდან დაღამებამდე თავს დატრიალებს პირუტყვს, მზრუნველობით უვლის ბატკნებს. ხ. მომციანის ენერგიული მუშაობის შედეგია ის, რომ მთელი ზამთრის განმავლობაში აქ ცხვარი არ დაცემულა, ახლადმიღებული ნამატი საუკეთესოდ მოვლილი და მთლიანად შენარჩუნებულია.

ხ. მომციანთან ერთად მუშაობს მისი ცოლი მარიამი. ორივეს საყვარელ საქმედ გაუხდია ცხვრისადმი მზრუნველობა, მოვლა, და პირობას იძლევიან, რომ თვალისჩინივით გაუფრთხილდებიან საზოგადოებრივ პირუტყვს, მთლიანად შეინარჩუნებენ ნამატს, გაადიდებენ პროდუქტიულობას.

ა. რაბველიშვილი.